პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 110 (10807) | შაბათი, 11 მაისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

**გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.**

**კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.**

**უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ, კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღო დადგენილება დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვის გამო ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის ღონისძიებათა შესახებ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადების გამო.**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

# ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხის განხილვამ ცხადყო, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იწონებენ წინადადებებს, რომლებიც შემოიტანეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ. ამრიგად, ამ საკითხის განხილვა დამთავრდა და ახლა ჩვენ უნდა მივიღოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონები ამ საკითხზე.

დეპუტატთა გამოსვლებში, ისევე როგორც საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს, რაც წინ უძღოდა სესიას, გამოითქვა ერთსულოვანი აზრი, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გათვალისწინებული გარდაქმნა საშუალებას მოგვცემს მოკლე ვადაში მივაღწიოთ კიდევ უფრო მეტ აღმავლობას ჩვენი მრეწველობის მუშაობაში, ახალ წარმატებებს მშენებლობაში.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შემოჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი გარდაქმნის შესახებ. ამ წინადადებებიდან ბევრი აისახა კანონთა პროექტებში. დეპუტატების მიერ გამოთქმული ყველა სხვა წინადადება უნდა განიხილონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, აგრეთვე სამინისტროებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებმა, მხარეებისა და ოლქების აღმასკომებმა საბჭოთა, პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, რათა ისინი გავითვალისწინოთ მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ბევრმა ორატორმა თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქების საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობის კონკრეტული მაგალითებით დამაჯერებლად გვიჩვენა, თუ რა უდიდესი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში.

კამათში გამოსულნი სამართლიანად ამბობდნენ, რომ თუ აღმოვფხვრით უწყებრივ ბარიერებს და ნამდვილად მეურნეობრივად მივუდგებით ამ რეზერვების გამოყენებას, ჩვენ მოკლე ვადაში დამატებითი კაპიტალდაბანდებების გაუღებლად იმავე საწარმოო ფართობებზე და იმავე მოწყობილობით მკვეთრად გავადიდებთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას.

სამართლიანად აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ გარდაქმნა გამოიწვევს ახალი ტექნიკის სწრაფი განვითარების, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის პროცესს, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ განვითარებას, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საქმის გაუმჯობესებას.

მაგრამ ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გარდაქმნა კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს შექმნის ჩვენი მრეწველობისა და მშენებლობათა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემოქმედებითი აქტივობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის.

ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში შექმნილი სახალხო მეურნეობის საბჭოები განუზომლად უფრო ახლო იქნებიან საწარმოებთან და მშენებლობებთან, ვიდრე საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური დარგობრივი სამინისტროები; სახალხო მეურნეობის საბჭოებს უკეთ ეცოდინებათ წარმოების კონკრეტული საჭიროებანი, უფრო ოპერატიულად და საქმის მეტი ცოდნით უხელმძღვანელებენ საწარმოებსა და მშენებლობებს, დაეყრდნობიან რა მათს მუშათა კოლექტივებს.

როცა უსმენ დეპუტატ ოზერცოვას, რომელიც მუშაობს ოსტატად ორსკის ნიკელის კომბინატში, მოსკოვის სახეხი ჩარხების ქარხნის ხარატს დეპუტატ ბიკოვს, კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მარტენის საამქროს უფროს ოსტატს დეპუტატ პრივალოვს და სხვა ამხანაგებს, ნათლად წარმოიდგენ, თუ რა დიდი დაინტერესებით უდგებიან ჩვენი ადამიანები მომავალი გარდაქმნის ამოცანებს. მათ კარგად გადმოგვცეს, თუ როგორი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით აყენებენ მათი საწარმოების მუშათა კოლექტივებში წარმოების განვითარებისა და შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

უაღრესად საგულისხმოა, რომ მართვის გარდაქმნის საკითხების განხილვისას საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები არ სჯერდებიან მარტო თავიანთი საწარმოს ამოცანებს, არამედ აყენებენ მთლიანად მრეწველობის დარგის ან მომიჯნავე დარგების განვითარების სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, თავიანთი რაიონის, თავიანთი ოლქის ან რესპუბლიკის რეზერვებისა და ბუნებრივი სიმდიდრის უფრო სწორად გამოყენების ამოცანებს.

სესიაზე აზრთა გაცხოველებული ურთიერთგაზიარება გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა გვექნეს ცალკეულ რესპუბლიკებში, ისევთებში, მაგალითად, როგორიც არიან რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, აზერბაიჯანი, ზოგიერთი სამრეწველო სამინისტრო.

დეპუტატებს კოზლოვს, კალჩენკოს, ზასიადკოს, კუნაევს, კირილენკოსა და სხვებს მიზანშეუწონლად მიაჩნიათ ქვანახშირის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის რესპუბლიკური სამინისტროების, აგრეთვე სამშენებლო სამინისტროების შექმნა მრეწველობის ამ დარგებში. ეს ამხანაგები აღნიშნავენ, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოებს შეუძლიათ უზრუნველყონ აღნიშნული დარგების სამრეწველო საწარმოთა სწორი ხელმძღვანელობა. საჭირო არ არის დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ თვალსაზრისზე, რადგან ორატორებმა საკმაოდ დამაჯერებლად ილაპარაკეს იმაზე, თუ რატომ არ არის საჭირო ასეთი სამინისტროები. ეს წინადადებანი, ჩვენი შეხედულებით, სწორია, და მათ უნდა დავეთანხმოთ.

ამავე დროს სესიაზე გამოთქვეს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მიზანშეწონილია ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში გვექნეს ზოგიერთი დარგის სამინისტროები. დეპუტატმა მუსტაფაევმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მაგალითით გვიჩვენა, რომ იქ საჭიროა იყოს ნავთობის მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტრო, რადგან ამ სამინისტროს არსებობა გამართლებულია მისი საქმიანობის მთელი გამოცდილებით.

ცალკეული ამხანაგები გამოთქვამდნენ სურვილს, რომ ნავთობის მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტრო იყოს რუსეთის ფედერაციაში, სადაც დიდი მასშტაბით წარმოებს ნავთობის ამოღება სარეწებში, რომლებიც მდებარეობენ სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში. ანალოგიური წინადადებებია აგრეთვე იმის შესახებ, რომ შეიქმნას რუსეთის სფსრ სატყეო მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტრო, სადაც ძირითადად მზადდება ხე-ტყე, რომელიც საჭიროა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგისათვის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

ამ დარგში ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია საჭიროა იმიტომაც, რომ ხე-ტყის დამუშავება წარმოებს, როგორც წესი, სამრეწველო ცენტრებს ძალიან დაშორებულ რაიონებში და სატყეო მრეწველობის საწარმოთა მართვა რესპუბლიკური სამინისტროს მეშვეობით გამართლებული იქნება.

ასეთივე მოსაზრებანი გამოითქვა რუსეთის სფსრ ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის რესპუბლიკური სამინისტროს შესახებ.

ზოგიერთმა ამხანაგმა შემოიტანა წინადადება, რომ საშენ მასალათა რესპუბლიკური სამინისტროები შეიქმნას რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის რესპუბლიკაში.

ყველა ეს წინადადება ყურადღების ღირსია. მაგრამ ამ წინადადებათა გამო გადაწყვეტილების მიღება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საჭირო არ არის. ამ საკითხებს განიხილავენ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოები და თვითონ მიიღებენ საჭირო გადაწყვეტილებებს. ამიტომ უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული კომისიის სხდომაზე კანონის თავდაპირველი პროექტის განხილვისას საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ კანონში „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ შეტანილ არ იქნას მუხლი რესპუბლიკური სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროების შექმნის შესახებ.

საჭიროა ითქვას გამოსვლებზე საკავშირო და განსაკუთრებით თავდაცვითი სამინისტროების გამო. ამხ. ზასიადკომ თავის გამოსვლაში თქვა, რომ მას მიზანშეუწონლად მიაჩნია იმ საერთო-საკავშირო სამინისტროების დატოვება, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებს. ეს წინადადებანი დროული არ არის.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის საკითხის თავდაპირველი განხილვისას გამოითქვა წინადადებანი ყველა სამრეწველო სამინისტროს გაუქმების შესახებ. მაგრამ განხილვის მსვლელობაში, აზრთა ყოველმხრივი გაზიარების შედეგად საჭიროდ იქნა მიჩნეული ზოგიერთი საკავშირო სამინისტროს დატოვება.

იმ სამინისტროთა საწარმოები, რომლებიც თავდაცვითს მრეწველობას განაგებენ, იქნებიან ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების დაქვემდებარებაში. სახალხო მეურნეობის საბჭოები განახორციელებენ ამ საწარმოთა მართვას. როგორც უკვე აღინიშნა მოხსენებასა და ცალკეულ დეპუტატთა გამოსვლებში, ეს სამინისტროები უნდა შევინარჩუნოთ იმისათვის, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელებისას მოვახდინოთ უფრო გეგმაზომიერი გადასვლა ახლებურად ხელმძღვანელობაზე და არ შევასუსტოთ ცენტრალიზებული კონტროლი ჩვენი ინდუსტრიის ამ დარგების განვითარებისადმი. მაგრამ ამ სამინისტროთა ფუნქციები უნდა შეიცვალოს. მათ უნდა დაგეგმონ შესაბამისი დარგების განვითარება, უზრუნველყონ წარმოების ჯეროვანი ტექნიკური დონე, აგრეთვე შეადგინონ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების გეგმები და კონტროლი გაუწიონ მათს შესრულებას. დატოვებული სამინისტროები უნდა გავათავისუფლოთ შესაბამისი საწარმოების უშუალო მართვისაგან.

მთელ რიგ საკავშირო სამინისტროთა დატოვების გამო საჭირო არ არის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში შევქმნათ მრეწველობის იმ დარგების განყოფილებანი, რომლებშიც რჩებიან საკავშირო სამინისტროები, რათა არ შევქმნათ პარალელური აპარატები და არ ვიმუშაოთ ერთსა და იმავე საქმეზე ორ ადგილას.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა დეპუტატ ულჯაბაევის გამოსვლის შესახებ. თავის გამოსვლაში ამხ. ულჯაბაევმა, სხვა საკითხებთან ერთად, ილაპარაკა სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაციაზე. მან შემოიტანა წინადადება გაუქმდეს სახელმწიფო კონტროლის რესპუბლიკური სამინისტროები და სახელმწიფო კონტროლის მთელი საქმე თავმოყრილ იქნას ჩვენი ქვეყნის მხოლოდ ცენტრში.

ჩვენ გვგონია, რომ ამხ. ულჯაბაევი ამ საკითხში მართალი არ არის. მისი წინადადება ეწინააღმდეგება მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გათვალისწინებულ გარდაქმნას. ახლა საწარმოთა და მშენებლობათა მართვა გადაგვაქვს ადგილებზე, ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, მოკავშირე რესპუბლიკებში, ხოლო ამხ. ულჯაბაევი მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების გაუქმებას.

სახელმწიფო კონტროლის ორგანოების გარდაქმნა ალბათ იმ მიმართულებით უნდა განვახორციელოთ, რომ კონტროლს თავი მოვუყაროთ ადგილებზე, ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში.

საჭიროა გავაძლიეროთ კონტროლის მუშაობა სახალხო მეურნეობის საბჭოებში, ავამაღლოთ ამ საქმეში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე საჭირო არ არის გადაიჭრას საკითხი, თუ როგორ მოვაწყოთ უკეთ თანამედროვე პირობებში კონტროლი და კონტროლის რა ორგანოები უნდა გვექნეს. საჭიროა უფრო ღრმად შევისწავლოთ ეს საკითხი, შევიმუშაოთ წინადადებანი, რის შემდეგაც მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

უნდა ითქვას აგრეთვე მრეწველობის მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე ურთიერთ მიწოდების ვალდებულებათა შესრულებისათვის. ზოგიერთი დეპუტატი თავის გამოსვლაში ამბობდა, რომ საჭიროა სწორად მოეწყოს ნედლეულის, მასალების, დამამკმპლექტებელ ნაკეთობათა ურთიერთ მიწოდება საწარმოთა შორის და გაძლიერდეს კონტროლი, რომ თვითეულმა საწარმომ, თვითეულმა სახალხო მეურნეობის საბჭომ შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულებანი.

ამ ნიადაგზე ცალკეულ საწარმოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს შორის შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება და დავა. ამიტომ საჭიროა შეიქმნას არბიტრაჟის ორგანოები როგორც ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, ისე რესპუბლიკებში. საჭიროა აგრეთვე მოვიფიქროთ საკითხი ცენტრში არბიტრაჟის ორგანოების გაძლიერების შესახებ.

უნდა შევიმუშაოთ ღონისძიებანი, რომლებიც გაითვალისწინებენ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაკების სასტიკ პასუხისმგებლობას ამა თუ იმ ნაწარმის ან მასალების მიწოდების ვალდებულებათა შესრულებისათვის. უდარდელ მუშაკებს, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, უნდა დაეკისროთ არა მარტო მორალური, არამედ აგრეთვე მატერიალური პასუხისმგებლობა.

ალბათ მიზანშეწონილია შემოვიღოთ ისეთი მდგომარეობა, როცა მუშაკებს, რომლებიც ძირს უთხრიან სახელმწიფო დისციპლინას, მოხსნიან პოსტებიდან და დააქვეითებენ თანამდებობაში. შესაძლოა საჭიროა აგრეთვე დაწესდეს ისეთი წესი, რომ მიწოდებათა შეუსრულებლობით მიყენებული ზარალისათვის დამნაშავეებს გადასახდელად დააწერონ შესაბამისი თანხა.

ამხანაგო დეპუტატებო!

უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ არჩეულმა კომისიამ განიხილა პროექტი კანონისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, განიხილა აგრეთვე ყველა შენიშვნა ამ პროექტის გამო. თვითეულ დეპუტატს გადაეცა კანონის პროექტის ახალი ტექსტი, რომელიც კომისიამ განიხილა. ამ ტექსტში შეტანილია კომისიის შესწორებანი. ვფიქრობ, საჭირო არ არის წავიკითხოთ როგორც მთლიანად კანონის პროექტი, ისე კომისიის მიერ შემოტანილი შესწორებანი.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ პროექტის ორ შესწორებაზე. ისინი ეხებიან კანონის თავდაპირველი პროექტის 15 და 19 მუხლებს. არის წინადადება ამოღებულ იქნას მეთხუთმეტე მუხლი, რომელშიც ლაპარაკი იყო რესპუბლიკური სამინისტროების შესახებ. ეს საკითხები, როგორც უკვე ითქვა, ეხება მოკავშირე რესპუბლიკათა კომპეტენციას და ამ საკითხებზე გადაწყვეტილებებს მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოები.

კანონის პროექტის მეცხრამეტე მუხლში მიზანშეწონილად არის მიჩნეული უფრო სრული დახასიათება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის როლს და განისაზღვროს მისი ძირითადი ამოცანები ახალ პირობებში.

დანარჩენი შესწორებანი და დაზუსტებანი აღნიშნულია თქვენთვის დარიგებულ მასალებში და ისინი არ მოითხოვენ დამატებით განმარტებას.

დეპუტატებს დაურიგდათ აგრეთვე პროექტი კანონისა „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“. ამ პროექტში მოყვანილი ცვლილებები და დამატებები გამომდინარეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი კანონიდან „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“.

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ განიხილა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაჭრა მოასწავებს ახალ დიდ ნაბიჯს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა განვახორციელოთ გარდაქმნა ორგანიზებულად და მოკლე ვადებში. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელების შედეგად უფრო მაღალ დონეზე იქნება აყვანილი მრეწველობისა და მშენებლობის ყველა დარგის ტექნიკური ხელმძღვანელობა.

წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება უფრო გონივრულად და უფრო ფართო მასშტაბით განხორციელდება. ამოქმედდება აგრეთვე ახალი მძლავრი რეზერვები, რომელთა გამოყენება ბრკოლდებოდა უწყებრივი ბარიერების არსებობით. ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ახალი ფორმები საშუალებას მოგვცემენ უკეთ გამოვიყენოთ მუშათა და სპეციალისტთა კადრები.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში, რასაც მოჰყვება ყველა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო აყვავება, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცება.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ცენტრალიზმისა და სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის ლენინური პრინციპების შემდგომ განვითარებას. ეს შექმნის პირობებს წარმოების მართვაში მშრომელთა მასების უფრო ფართოდ ჩაბმისათვის. ეს გამოიწვევს მილიონობით საბჭოთა ადამიანის აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ახალ აღმავლობას.

ახალ პირობებში მნიშვნელოვნად გაძლიერდება ყველა ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული, სამეურნეო ორგანიზაციის როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო მშენებლობის ამოცანების განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია მოასწავებს ახალ ეტაპს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. მან ცხადყო, თუ რა უდიდეს წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების 40 წლის მანძილზე, ახორციელებს რა სოციალისტური მშენებლობის ლენინურ გეგმებს. მან დაადასტურა საბჭოთა ხალხის ურყევი გადაწყვეტილება განახორციელოს დიადი ამოცანები, რომლებიც კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ერთიანი არიან. ისინი მტკიცედ მიდიან იმ გზით, რომელიც გვიჩვენა ჩვენმა უკვდავმა მასწავლებელმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, წარმატებით წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ისტორიულ ამოცანებს.

წინ, ამხანაგებო, ახალი წარმატებებისაკენ, ახალი გამარჯვებებისაკენ! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

# კრემლის დიდ სასახლეში

9 მაისს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია. ორივე პალატის დილის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **ნ. ე. ავხიმოვიჩის** თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა განხილვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

პირველი სიტყვა თავმჯდომარემ მისცა დეპუტატ **ტ. ულჯაბაევს** (ტაჯიკეთის სსრ). სასიხარულოა, ამბობს იგი, რომ ჩვენმა პარტიამ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად მოკლე ვადებში უზრუნველყო თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი ზრდა. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ტაჯიკეთში, მაგალითად, სარეწველო პროდუქციის წარმოება გადიდდა 27-ჯერ, ბამბისა — 13-ჯერ. აღიზარდნენ საკუთარი კადრები.

დეპუტატი აყენებს საკითხს სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების ქარხნის, ავტოსარემონტო ბაზის შექმნის შესახებ შუა აზიის რესპუბლიკების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად, ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა უკეთ იქნას გამოყენებული ტაჯიკეთის მდიდარი წიაღი. ამხ. ულჯაბაევი მხურვალედ უჭერს მხარს ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში დასახულ ღონისძიებებს.

დეპუტატმა **ა. ფ. ზასიადკომ** (უკრაინის სსრ) თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამინისტროებისაგან განსხვავებით სახალხო მეურნეობის საბჭოებს ექნებათ გაცილებით უფრო რთული და მრავალდარგოვანი მეურნეობა. ორატორის აზრით, სახალხო მეურნეობის საბჭოების უფლებები გაცილებით უფრო ფართო უნდა იყოს იმ უფლებებზე, რომლებითაც საკავშირო სამინისტროები სარგებლობდნენ.

ძირეულად უნდა გარდაიქმნას, აცხადებს ამხ. ზასიადკო, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაობა. საფინანსო ორგანოების მუშაობის არსებული პრაქტიკა ხშირად ზიანს აყენებს საქმეს, რადგან საწარმოს ხელმძღვანელს ართმევს ინიციატივას საკითხების რაც შეიძლება რაციონალურად გადაჭრის საქმეში. მთავრობის მიერ დამტკიცებული საფინანსო გეგმის ფარგლებში საჭიროა მისი შესრულების დარგში ყველა უფლება მიენიჭოთ სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს.

დეპუტატმა ზასიადკომ მოითხოვა, რომ ისეთი საკავშირო სამინისტროები, როგორიც არის ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული, ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროები შეუერთდნენ სახელმწიფო საგეგმო კომისიას მისი განყოფილებების უფლებებით.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **მ. ა. იასნოვი** (რსფსრ). ამხ. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ამბობს იგი, სავსებით სწორად არის ხაზგასმული, რომ უწყებრივი პრინციპის მიხედვით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის არსებული სტრუქტურა ახლანდელ პირობებში აყოვნებს სახალხო მეურნეობის განვითარების ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას.

ნელა წყდება, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთ რაიონების მეურნეობის კომპლექსური განვითარების საკითხები. ცნობილია, რომ ციმბირში თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მთელი მარაგის 75-მდე პროცენტი, ჰიდროენერგეტიკული რესურსების 80-მდე პროცენტი, ჩვენი ქვეყნის ტყის სამდიდრის ოთხი მეხუთედი, აგრეთვე ფერადი და იშვიათი ლითონების, რკინის მადნის, ქიმიური ნედლეულის უდიდესი საბადოები. მაგრამ მიუხედავად ამ კოლოსალური სიმდიდრისა, ციმბირისა და რესპუბლიკის სხვა აღმოსავლეთ რაიონების საწარმოო ძალები ჯეროვნად ვერ განვითარდა, რადგან სამინისტროები და უწყებები ახალი დაუსახლებელი რაიონების ათვისების სიძნელეებს ერიდებოდნენ და ძირითად კაპიტალდაბანდებებს ახმარდნენ მრეწველობის განვითარებას ცენტრალურ ოლქებში.

შემდეგ დეპუტატი იასნოვი შეეხო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სტრუქტურას რუსეთის ფედერაციაში. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციაში შეიქმნას ერთი საშენებლო სამინისტრო, რომელსაც უნდა დაეკისროს საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის სპეციალიზებული სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. რაც შეეხება რუსეთის სფსრ სამინისტროებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონის პროექტით, — შავი მეტალურგიის, ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთობის, სატყეო, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროებს, — მრეწველობის აღნიშნული დარგების ხელმძღვანელობას, ამბობს ორატორი, უკეთ უზრუნველყოფენ უშუალოდ სახალხო მეურნეობის საბჭოები ამ დარგების ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში.

დეპუტატი **ა. ი. სნეჩკუსი** (ლიტვის სსრ) ამბობს, რომ გარდაქმნის საკითხები მეტად აქტუალურია ლიტვისთვისაც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა ფართოდ განვითარებული ინდუსტრიისა და მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად.

ორატორმა შეიტანა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შესახებ. კერძოდ, მან თქვა, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შეყვანა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

შეეხო რა საწარმოთა და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, დეპუტატმა **ს. ა. ტოვმასიანმა** (სომხეთის სსრ) ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაწესდეს სასტიკი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა საწარმოებისათვის მასალების, ნახევარფაბრიკატების, მოწყობილობის, მანქანების, საშენი მასალების მიწოდების გეგმების შესრულებისადმი, რომლებზეც დამოკიდებულია სახელმწიფო გეგმების შესრულება. მას წინადადება შეაქვს გამოიცეს კანონი იმ მიმწოდებელ საწარმოთა ხელმძღვანელების პა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაგ

## კრემლის დიდ სასახლეში

(დასასრული)

სუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებმაც მიწოდება ჩაფუშეს.

თავის გამოსვლაში დეპუტატმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ადგილებზე გეოლოგიური სამსახურის სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რადგან ამჟამად არსებული სტრუქტურა არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მოთხოვნილებებს. იგი ამბობს, რომ რესპუბლიკაში არსებული ყველა გეოლოგიური სამსახური გაერთიანება ერთიან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანიზაციად საშუალებას მოგვცემდა რაციონალურად გამოგვყენებინა სახსრები, მოგვეწყო გეოლოგიურ-საძიებო მუშაობა ერთიანი გეგმით.

— კუზბასის მშრომელებმა აქტიურად განიხილეს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, — განაცხადა კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მარტენის საამქროს უფროსმა ოსტატმა **მ. მ. პრივალოვმა.** — ჩვენ, კემეროვოს ოლქის დეპუტატებმა, კმაყოფილებით გავიგეთ, რომ გათვალისწინებულია კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა. ეს სავსებით შეესაბამება ოლქის მშრომელთა სურვილებს.

შემდეგ ამხ. პრივალოვი ამბობს, რომ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატი თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე გადაიქცა ჩვენი ქვეყნის დიდ მოწინავე საწარმოდ. მაგრამ მას აქვს გადაუჭრელი საკითხებიც. დღემდე რკინის მადანი მაგნიტოგორსკიდან შემოგვაქვს. ეს იმიტომ ხდება, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს მთიან შორიაში სამადნე ბაზის განვითარებას. ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე აბაკანისა და ტეის სამადნეების მშენებლობა, რომლებიც ხაკასეთის ავტონომიურ ოლქში მდებარეობენ. იმისათვის, რომ დაჩქარდეს მშენებლობა, მიზანშეწონილია ისინი დავუქვემდებაროთ კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, რამდენადაც ისინი კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის საწარმოებს წარმოადგენენ. ასეთი წინადადება წამოაყენეს მეტალურგთა ბევრ კრებაზე.

დეპუტატმა **ა. ა. მიურიისეპმა** (ესტონეთის სსრ) აღნიშნა, რომ ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა საყოველთაო მოწონება ჰპოვა ესტონეთის მშრომელებში. შემდეგ მან ილაპარაკა რესპუბლიკის ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940 წლიდან შვიდნახევარჯერ გადიდდა. მარტო იმ საწარმოებში, რომლებიც გათვალისწინებულია გადაეცეს სახალხო მეურნეობის საბჭოს, მუშაობს 130 ათასზე მეტი კაცი.

თავის გამოსვლაში დეპუტატმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ესტონეთის სსრ საწარმოო შესაძლებლობათა უფრო რაციონალურად გამოყენების საკითხებს და იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიურ რაიონებს შორის.

სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრმა დეპუტატმა **ვ. ბ. ზოტოვმა** განაცხადა, რომ ჯერ კიდევ 1954-55 წლებში მეურნეობის ამ დარგის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო და საბჭოთა მეურნეობა გადაცემულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში. 1956 წლის განმავლობაში სასურსათო საქონლის მრეწველობამ ყველა რესპუბლიკაში წარმატებით შეასრულა გეგმა.

ორატორის აზრით, საწარმოები, რომლებიც პროდუქციას ასაღებენ უმთავრესად ადგილზე, უნდა გადავცეთ მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების გამგებლობაში. ეს არის პურსაცხობი მრეწველობა, მაკარონის, ლუდის საწარმოები, წვრილი საკონსერვო ქარხნები. ხოლო საწარმოები, რომლებიც შემოტანილი ნედლეულით მუშაობენ და პროდუქციის მეტ ნაწილს თავისი ეკონომიური რაიონის ფარგლებს გარეთ ასაღებენ, აგრეთვე საწარმოები, რომლებიც თავიანთი პროდუქციით უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის ბევრ დარგს, სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში უნდა იქნენ.

დაახასიათა რა უდიდესი გარდაქმნები, რომლებიც განხორციელდა ყირგიზეთში, დეპუტატმა **ა. სუერკულოვმა** ილაპარაკა რესპუბლიკის მრეწველობის შემდგომი განვითარების დიდ შესაძლებლობებზე. მაგრამ ეს შესაძლებლობები სავსებით როდია გამოყენებული. ხელსაყრელი პირობებია, კერძოდ, მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის. რესპუბლიკა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი რაიონია ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების მხრივ. დიდი ხანია ადგილზე უნდა მოგვეწყო მისი გადამუშავება. მაგრამ დღემდე არა მარტო ყირგიზეთში, არამედ შუა აზიის არც ერთ რესპუბლიკაში არ არის შალეულის არც ერთი საწარმო. ამის ერთ-ერთი მიზეზია მრეწველობის მართვის არსებული სისტემა. სამინისტროების მოწყვეტა ეკონომიური რაიონების კონკრეტული პირობებისაგან აგრეთვე იწვევს იმას, რომ რესპუბლიკის ქვანახშირის საწარმოები სუსტად ვითარდებიან. შახტების მშენებლობის სწორი დაგეგმვისას შეიძლებოდა ქვანახშირის ამოღების გადიდება რესპუბლიკაში 2-3-ჯერ, რაც საშუალებას მოგვცემდა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა მისი შემოზიდვა შუა აზიაში კუზბასიდან და ყარაგანდიდან. მაგრამ ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო თითქმის არ აქცევს ყურადღებას შახტების მშენებლობას ყირგიზეთში.

დეპუტატმა **ზ. ნ. ნურიევმა** (ბაშკირეთის ასსრ) მოიყვანა საოცარი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ბაშკირეთის ეკონომიკის განვითარებას. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გადიდდა 109-ჯერ, ხოლო ომამდელ 1940 წელთან შედარებით — 9,2-ჯერ. ამჟამად ბაშკირეთს პირველი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში ნავთობის ამოღების მხრივ.

დეპუტატი ნურიევი აყენებს მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც შეეხება რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა უკეთ გამოყენებას და, კერძოდ, აყენებს საკითხს ნავთობქიმიის განვითარების შესახებ.

დილის სხდომაზე შექმნილ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისია, რომელიც განიხილავს სესიაზე შეტანილ წინადადებებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის კანონის პროექტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ და კანონის პროექტს სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

კომისია შექმნილია შემდეგი შემადგენლობით: ნ. ს. ხრუშჩოვი (კომისიის თავმჯდომარე), ა. ბ. არისტოვი, ს. ბაბაევი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ნ. ი. ბელიაევი, ბ. პ. ბეშჩევი, ნ. ი. ბობროვნიკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, პ. ბ. ბიკოვი, ა. პ. ვოლკოვი, მ. პ. გიორგაძე, ვ. ვ. გრიშინი, პ. ვ. დემენტიევი, მ. ტ. ეფრემოვი, გ. კ. ჟუკოვი, ა. ფ. ზასიადკო, ვ. პ. ზოტოვი, ნ. გ. იგნატიევი, ს. დ. იგნატიევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ი. პ. კაზანეცი, ი. ე. კალნბერზინი, ნ. ტ. კალჩენკო, ს. კამალოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ა. ი. კოსტოუსოვი, ა. ნ. კოსიგინი, ი. ი. კუზმინი, დ. ა. კუნაევი, ვ. ა. კუჩერენკო, ი. გ. კებინი, გ. მ. მალენკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, ი. დ. მუსტაფაევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ა. ნ. ნესმეიანოვი, მ. ს. ოზერეცოვი, მ. გ. პერვუხინი, კ. დ. პეტუხოვი, პ. ნ. პოსპელოვი, გ. ი. რუდი, მ. ზ. საბუროვი, პ. ა. სატიუკოვი, ზ. ტ. სერდიუკი, ნ. ნ. სმელიაკოვი, ა. ი. სნეჩკუსი, ა. სუერკულოვი, მ. ა. სუსლოვი, ს. ა. ტოვმასიანი, ტ. ულჯაბაევი, დ. ფ. უსტინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. შელეპინი, დ. ტ. შეპილოვი, ა. პ. შიტიკოვი, ი. დ. იაკოვლევი, მ. ა. იასნოვი.

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დილის გაერთიანებული სხდომა. (საკდესი).

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის 9 მაისის საღამოს სხდომაზე, რომელიც გაიხსნა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **ზ. ს. ომაროვას** თავმჯდომარეობით, პირველი გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ვ. გრიშინი.** პარტიის მიერ დასახული გადასვლა მეურნეობის მართვის ახალ ფორმებზე, ამბობს იგი, აფართოებს ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივის შემდგომი განვითარების, წარმოების მართვაში მასების უფრო აქტიური ჩაბმის შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით დიდი ამოცანები ისახება საბჭოთა პროფკავშირების წინაშე. როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაშია ნათქვამი, მომავალი გარდაქმნა მოითხოვს პროფკავშირების მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, სამეურნეო მშენებლობაში მათი როლის ამაღლებას.

ორატორი აღნიშნავს, რომ სამეურნეო ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრის ადგილებზე გადატანასთან დაკავშირებით საჭიროა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს პროფკავშირების საბჭოების უფლებები და ამაღლდეს მათი როლი. საკავშირო პროფსაბჭოს მორიგ პლენუმზე, ამბობს იგი, განხილულ იქნება საკითხები, რომლებიც პროფკავშირთა სტრუქტურის შეცვლას შეეხება.

დეპუტატმა **ზ. ნ. საბიტოვამ** (ყაზახეთის სსრ) განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებსა და ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს ყარაგანდის ოლქის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. პარტიული აქტივის კრებებზე, მუშათა კრებებზე ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნა ამ ეტაპზე საჭიროა. იგი ხელს შეუწყობს მასეპის შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, შესაძლებელს გახდის უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოთა და მშენებლობათა რეზერვები. ამხ. საბიტოვამ გამოთქვა მთელი რიგი წინადადებანი ყარაგანდის ოლქის საწარმოთა ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ.

დეპუტატმა **ს. ბაბაევმა** (თურქმენეთის სსრ) ხაზგასმით აღნიშნა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი სტრუქტურის უდიდესი მნიშვნელობა სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. შემდეგ მან აღძრა თურქმენეთისათვის სპეციალისტთა კადრების საკითხი. რესპუბლიკაში სწრაფად მზარდი ნავთობის, ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები, ამბობს ორატორი, მნიშვნელოვანი რაოდენობით მოითხოვენ სპეციალისტებს. ამასთან დაკავშირებით დეპუტატი ბაბაევი ამბობს, რომ საჭიროა რესპუბლიკაში გაიგზავნოს ასობით ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებიც განთავისუფლდებიან მთელ რიგ სამინისტროთა და უწყებათა გაუქმების შემდეგ, ხოლო შემდეგში გაიხსნას თურქმენეთში პოლიტექნიკური ინსტიტუტი კადრების მოსამზადებლად.

— ახალგაზრდობის ლენინური კავშირის წევრები, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ და ყოველი ღონისძიებით გაუწევენ დახმარებას პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მათს განხორციელებაში, — თქვა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დეპუტატმა **ა. ნ. შელეპინმა.** მისი სიტყვა მიეძღვნა უმთავრესად კადრების მომზადებას. მან წინადადება შეიტანა შემოღებულ იქნას საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა გამოყენების სახელმწიფო დაგეგმვა.

ირტიშსმშენის უფროსმა დეპუტატმა **მ. ვ. ინიუშინმა** აღნიშნა, რომ მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ეკონომიურ რაიონებში გადატანამ უნდა გამოიწვიოს სამეცნიერო-ტექნიკური მუშაობის ახალი აღმავლობა უშუალოდ საწარმოებში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა საძეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ჰიდროელექტროსადგურების აგებასთან, გადატანილ იქნას მშენებლობებზე და წინადადება შეიტანა მოეწყოს ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალი ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურში. თვითეულ დიდ მშენებლობას უნდა ექნეს თავისი სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილება მაღალი კვალიფიკაციის 30-50 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შემადგენლობით, რომლებსაც უნარი ექნებათ აწარმოონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, წარმოებაში დანერგონ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების და სხვა მშენებლობათა მიღწევები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა დეპუტატმა **ი. პ. ბარდინმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა შავი მეტალურგიის განვითარების პრობლემებს. მან, კერძოდ, ილაპარაკა, რომ საჭიროა მოწესრიგდეს ახალ საწარმოთა მშენებლობა. აგრეგატების მშენებლობა უნდა განხორციელდეს სწრაფად და ამასთან უნდა შენდებოდეს დიდი მოცულობის ბრძმედები, რომელთაგან თვითეული წელიწადში მილიონნახევარ-ორ მილიონ ტონა თუჯს გამოუშვებს.

აკადემიკოსმა ბარდინმა ხაზგასმით აღნიშნა საწარმოთა ხელმძღვანელების უფლებათა გაფართოების დიდი მნიშვნელობა. მრეწველობის მართვის ახალი ორგანოები არ უნდა გაიბეროს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფისაგან შემოვიდა შეკითხვა სსრ კავშირის მთავრობისადმი. შეკითხვაში ნათქვამია:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე დეპუტატთა ჯგუფმა საბჭოთა მთავრობას მიმართა შეკითხვით იმ ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმას იგი აპირებს ატომური იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტისათვის. შეკითხვის პასუხად საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მას საჭიროდ მიაჩნია სრულიად გადაუდებლად დაიდოს სამ სახელმწიფოს — სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის შეთანხმება ატომური და თერმოატომგულის იარაღის ყოველგვარი გამოცდისა და ექსპერიმენტული აფეთქების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ და მესაბამისი წინადადებით მიმართა აღნიშნულ სახელმწიფოთა მთავრობებს.

თუმცა ამ საკითხის განხილვის მომენტიდან ათი თვე გავიდა, ჩვენ მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს ჯერჯერობით შეთანხმების მიღწევა არ მოჰყოლია, დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო. უფრო მეტიც, მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაძლიერდა მზადება ატომური ომისათვის.

ასეთი მდგომარეობა იწვევს ხალხთა სულ უფრო მეტ შეშფოთებას. ისინი გადაჭრით მოითხოვენ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი, რომელიც წარმოადგენს მასობრივი მოსპობის იარაღს, და მტკიცედ მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამ იარაღის გამოცდა.

ჩვენ მივმართავთ საბჭოთა მთავრობას შეკითხვით — აცნობოს დეპუტატებს, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის საქმე და რა უშლის ხელს ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევას.

შეკითხვას ხელს აწერენ დეპუტატები ვ. გრიშინი, ა. კორნეიჩუკი, ა. სემბაევი, ვ. ამბარცუმიანი, ლ. ლეონოვი, ჯ. ბიკოვი, გ. ბურკაცკაია, ა. შელეპინი.

ამით საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება. (საკდესი).

## კამათი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

### დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ გათუმის საარჩევნო ოლქი

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ განვიხილავთ საკითხს, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო აყვავებისათვის.

ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაოსახალხო განხილვამ, რომელიც წინ უძღოდა უმაღლესი საბჭოს ამ სესიას, ცხადყო, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი დროული და სწორია, ისინი შეესაბამებიან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის საარსებო ამოცანებს.

მრავალი კონკრეტული ფაქტითა და მაგალითით უცილობლად დამტკიცებულია, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის არსებული ფორმა მეტისმეტი ცენტრალიზაციისა და მრავალი საუწყებო ბარიერის არსებობის შედეგად ხელს უშლის ჩვენი მრეწველობის უმდიდრესი შესაძლებლობებისა და რეზერვების სრულად გამოყენებას, ბოჭავს ადგილობრივი მუშაკების ინიციატივას, რომელიც მიმართულია მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა სრული მხარდაჭერა და ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა. მოხსენების თეზისები დეტალურად განხილულია საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების კრებებზე, სამრეწველო სამინისტროთა სამეურნეო აქტივების კრებებზე; გარდა ამისა, რესპუბლიკის დედაქალაქსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში მოხსენების თეზისები განხილულია პარტიული აქტივის კრებებზე.

თეზისების განხილვისას მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მეცნიერ მუშაკებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს შემოჰქონდათ საგულისხმო შენიშვნები და ამასთან აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

გულდასმით შეისწავლეს რა ეს წინადადებანი და მოეთათბირნენ რა აქტივს, სპეციალისტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სტრუქტურა, რომელიც მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მართვის ახალი სტრუქტურის შემუშავებისას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ემყარებოდნენ იმას, რომ საქართველო ერთიანი ეკონომიური რაიონია მრავალდარგოვანი მრეწველობით. რესპუბლიკას აქვს მსხვილი ელექტროენერგეტიკული მეურნეობა, ქვანახშირის, სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური მრეწველობა. ჩვენში არის დიდი მანქანათმშენებელი, ჩარხმშენებელი და სხვა ლითონდამამუშავებელი საწარმოები. უკანასკნელ წლებში ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობა, შექმნილია ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიკის საშუალებათა საწარმოები. ჩვენ გვაქვს საკმაოდ მძლავრი მსუბუქი და კვების მრეწველობა, რომლის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაგზავნილ. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული მრეწველობის საერთო პროდუქცია შეადგენს 13,7 მილიარდ მანეთს, ხოლო მეექვსე ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა აყვანილ იქნას 18 მილიარდ მანეთამდე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში გაიზარდნენ მაღალკვალიფიციურ მუშათა, წარმოების ნოვატორთა, ტექნიკოსთა, ინჟინერთა, სამეურნეო ხელმძღვანელთა შესანიშნავი კადრები, რომლებსაც შეუძლიათ კვალიფიციურად გადაჭრან რესპუბლიკის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანები.

რესპუბლიკაში მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ყველაზე მისაღებ ფორმად მიჩნეულია მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ერთიანი ორგანოს — სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნა, რომელსაც უნდა ჰქონდეს საწარმოთა სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის საჭირო ყველა უფლება და რომელიც პასუხს უნდა აგებდეს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა წარმოების გეგმის შესრულებისათვის.

საწარმოთა ხელმძღვანელობას, ხოლო ისინი დაახლოებით ხუთასია, განახორციელებენ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოები, აგრეთვე ტრესტები და კომბინატები. სახალხო მეურნეობის საბჭოსთან გათვალისწინებულია შეექმნას 10-11 დარგობრივი სამმართველო. სახალხო მეურნეობის საბჭოში მრავალი ქვეგანაყოფის შექმნის თავიდან ასაცილებლად ჩვენ განზრახულია გავაქვს ერთ სამმართველოში მოვუყაროთ თავი მომიჯნავე დარგების საწარმოების, მაგალითად, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოების ხელმძღვანელობას. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ბაზაზე გათვალისწინებულია შეიქმნას ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის სამმართველო. მანქანათმშენებელი, ლითონდამამუშავებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებს უხელმძღვანელებს აგრეთვე ერთი სამმართველო.

ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკაში არსებული სამშენებლო ორგანიზაციების ბაზაზე შეექმნათ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ერთი ტერიტორიული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო და დავუქვემდებაროთ იგი უშუალოდ სახალხო მეურნეობის საბჭოს. სახალხო მეურნეობის საბჭოსთან გათვალისწინებულია შეიქმნას საჭირო ფუნქციონალური განყოფილებანი, რომელთა მეშვეობით განხორციელდება სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის დარგების დაგეგმვა, დაფინანსება და ტექნიკური ხელმძღვანელობა.

მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც დღემდე ექვემდებარებოდნენ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე ბევრი სხვა საწარმო გადაეცემა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. მაგრამ სწორი დაგეგმვის, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიქონიოთ მინისტრთა საბჭოსთან ადგილობრივი მრეწველობის სამმართველო.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის განხორციელება დადებით გავლენას მოახდენს მრეწველობის განვითარებაზე და შექმნის ყველა პირობას ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. ასეთ რწმენას ადასტურებს უკანასკნელი ორი-სამი წლის მუშაობის პრაქტიკა.

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ 1955 წელს აიღეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისა და სახალხო მეურნეობის მართვაში მათი როლის გაძლიერების კურსი. მაგალითად, 1955-56 წლებში რესპუბლიკების გამგებლობაში გადაცემულ იქნა საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოები. პარტიის XX ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია კიდევ უფრო გაბედულად წავსულიყავით სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფრო მეტი დამოუკიდებლობის მინიჭების გზით. ცხოვრებამ დაგვანახვა პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიებათა სისწორე. საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკის გამგებლობაში გადაცემულ საწარმოთა მუშაობა ბევრად გაუმჯობესდა. თუ მანამდე ბევრი მათგანი არარენტაბელური იყო, გეგმებს ვერ ასრულებდა და ზარალს იძლეოდა, ახლა, როგორც წესი, ეს საწარმოები ასრულებენ საწარმოო დავალებებს და აძლევენ სახელმწიფოს ზეგეგმითს მოგებას, ამასთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ სტრუქტურის შემდგომი გამარტივება, მეტისმეტი ცენტრალიზაციის ლიკვიდაცია და მრავალი უწყებრივი ბარიერის მოსპობა დადებით გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის მუშაობაზე.

ამხანაგო დეპუტატებო! მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ მუშაობას. ჩვენ უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს, უფრო ოპერატიულად და კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებს. დიდ უფლებებთან ერთად, რომლებიც ეძლევათ რესპუბლიკებს, მხარეებსა და ოლქებს, სერიოზულად იზრდება აგრეთვე ჩვენი პასუხისმგებლობა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენს წინაშე ისახება ახალი შესაძლებლობანი, რომ კიდევ უფრო მეტად ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობაში.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებამ, შესაძლოა, პირველ ხანებში გამოიწვიოს ზოგიერთი სიძნელე, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ. გარდაქმნა უნდა განვახორციელოთ ორგანიზებულად, არ დაკარგვა ალბათ არავითარი შეფერხება მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში. როდესაც სიძნელეებზე ვლაპარაკობ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს მრეწველობისა და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხი, რადგან მომარაგების შეფერხებას შეუძლია სერიოზულად გაუარესოს მრეწველობის მუშაობა. მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა, აგრეთვე ეკონომიკური კადრების არსებობა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ, თუ დადგენილ იქნა რეალური გეგმები საწარმოებისათვის და დროზე უზრუნველყავით ისინი მასალებით, გეგმები შესრულდება არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომარაგებისა და პროდუქციის გასაღების სწორი ორგანიზაციისთვის საჭიროა იყოს რაღაც ორგანო ცენტრში და დავუქვემდებაროთ მას ეკონომიური რაიონებში არსებული სადარგთაშორისო გამსაღებელი ბაზები და კანტორები, რომლებსაც უნდა დაეკისროთ სრული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დროზე მიაწოდონ უმთავრეს სახეობათა მასალები მოცემული ეკონომიური რაიონის საწარმოებსა და მშენებლობებს. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იმ მასალებისა და მოწყობილობის დროზე მიწოდებისათვის, რომლებიც გამოყოფილია საერთო-სახელმწიფოებრივი გეგმით სხვა ეკონომიური რაიონების საჭიროებებისათვის.

მანქანათმშენებელ, მეტალურგიულ, ქიმიურ მრეწველობაში რთული, პასუხსაგები სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია იყოს საერთო-საკავშირო სპეციალიზებული სამონტაჟო ორგანიზაცია, რომელსაც დაექვემდებარებიან ეკონომიურ რაიონებში არსებული ცალკეული სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტები და კანტორები.

რამდენიმე სიტყვა დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელობის შესახებ. ცხადია, რომ იმ საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ უმთავრესად მოცემული ეკონომიური რაიონებისათვის, უნდა დარჩნენ ამ რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში და დაექვემდებაროთ მათს შესაბამის დარგობრივ სამმართველოებს. მაგრამ იმ პრობლემებზე მომუშავე ინსტიტუტებს, რომლებიც რესპუბლიკის ან ეკონომიური რაიონის ფარგლებს სცილდება, უნდა ჰქონდეთ რაღაც გამაერთიანებელი ცენტრი, რომელიც განახორციელებს ამ ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაციას და წარმართავს მას. შესაძლოა, ამ ინსტიტუტების ხელმძღვანელობა დაიკალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს, ან იქნებ უფრო მიზანშეწონილია მათი ხელმძღვანელობა თავმოყრილი იყოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში. ერთი რამ უდავოა, რომ საჭიროა დარგობრივი ინსტიტუტების მუშაობის კოორდინაცია და წარმართვა იმგვარად, რომ მათი საქმიანობა შეესაბამებოდეს აქტუალურ პრობლემებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნ

# ნერილების გაცვლა იაპონიის მშვიდობის კომიტეტის მუდმივ დირექტორს სიოძი ოგატასა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს შორის

ამას წინათ ბ-ნმა ს. ოგატამ იაპონიის მშვიდობის კომიტეტის სახელით ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა წერილით, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება:

**„პრემიერ-მინისტრს გატონ ნ. ა. ბულგანინს**

**სსრ კავშირი, მოსკოვი, კრემლი.**

სერ,

ატომური და წყალბადის ბომბების აკრძალვისათვის ხელმოწერათა რიცხვი, როგორც თქვენ იცით, იაპონიაში შეადგენს 34.000.000-ს (იაპონიის ამომრჩეველთა 70 პროცენტს ანუ მოსახლეობის 40 პროცენტს), ხოლო მთელ მსოფლიოში იგი აღწევს 700.000.000-ს. აქედან გამომდინარეობს, რომ ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გაცილებით უფრო ძლიერ გმობს ატომგულის იარაღს, ვიდრე ოდესმე წინათ.

მიუხედავად ამისა, ამჟამად მიმდინარეობს ატომური და წყალბადის ბომბების წარმოება და საცდელი აფეთქებანი და მსოფლიო დაგროვება რადიაქტიური ნალექებისა, მათ შორის სტრონციუმ-90-სა, რომელიც განსაკუთრებით მავნეა ჯანმრთელობისათვის, საფრთხეს უქმნის კაცობრიობის მომავალ არსებობას.

ინგლისის მიერ შობის კუნძულის მახლობლად ატომგულის იარაღის გამოცდასთან დაკავშირებით ჩვენ, იაპონელი ხალხი, ვერ დავეთანხმებით ამ გამოცდების გამართლებას „შეჭრის საფრთხისაგან“ თავდაცვის საბაბით.

იაპონიის მშვიდობის კომიტეტმა მიმართა თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტს ლონდონში, რათა დაიდოს შეთანხმება ატომგულის ბომბების საცდელ აფეთქებათა აკრძალვის შესახებ და რათა ატომგულის იარაღის გამოცდა შეწყდეს ამ შეთანხმების დადებამდე. ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადება, ჩვენი აზრით, გზას გაუხსნიდა ატომგულის იარაღის საყოველთაო აკრძალვას.

მთელ იაპონელ ხალხთან ერთად, რომელიც პროტესტს აცხადებს შობის კუნძულის რაიონში ატომგულის ბომბების გამოცდის წინააღმდეგ, ჩვენ კვლავ ვთხოვთ თქვენს მთავრობას მიიღოს შემდგომი ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა მიღწეულ იქნას საერთაშორისო შეთანხმების დადება ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

გულწრფელად თქვენი,
იაპონიის მშვიდობის კომიტეტის სახელით
**მუდმივი დირექტორი**
**სიოძი ოგატა**

ანალოგიური წერილი გაეგზავნათ ბატონ ჰაროლდ მაკმილანს და ბატონ დუაიტ ეიზენჰაუერს.

იაპონიის მშვიდობის კომიტეტი
ქ. ტოკიო, 1957 წ. 25 მარტი“.

ა. წ. 7 მაისს ნ. ა. ბულგანინმა ბ-ნ ს. ოგატას გაუგზავნა შემდეგი პასუხი:

**„გატონ სიოძი ოგატას,**

**იაპონიის მშვიდობის კომიტეტის მუდმივ დირექტორს.**

პატივცემულო ბატონო ოგატა,

მივიღე თქვენი ამა წლის 25 მარტის წერილი, გამოგზავნილი იაპონიის მშვიდობის კომიტეტის სახელით.

საბჭოთა ხალხისათვის გასაგებია იაპონელი ხალხის შეშფოთება იმის გამო, რომ გრძელდება ატომური და წყალბადის იარაღის გამალებული წარმოება და ხდება მისი გამოცდა. სავსებით ვიზიარებთ თქვენს აზრს, რომ ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადება გზას გაუხსნიდა შეთანხმების მიღწევას ამ იარაღის სრული და უთუო აკრძალვის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ცდილობდა და კვლავ ცდილობს დაიდოს შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ და ამოღებულ იქნას ეს იარაღი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან. როგორც თქვენ იცით, საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა აგრეთვე წინადადება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ მთლიანად ან თუნდაც განსაზღვრული ვადით შეწყვეტის შესახებ. ამასთან საბჭოთა მთავრობის წინადადებაა შეთანხმების მიღწევა ამ საკითხზე დაკავშირებულ არ იქნას განიარაღების საერთო პრობლემის გადაჭრასთან.

სამწუხაროდ, ამ ჩვენს წინადადებებს მხარი არ დაუჭირეს არა მარტო ამ ქვეყნების მთავრობებმა, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღი აქვთ, არამედ ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობებმაც კი. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება მოგაგონოთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე იაპონიამ არ დაუჭირა მხარი საბჭოთა მთავრობის მიერ შეტანილ წინადადებას ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ამრიგად, დასავლეთის სახელმწიფოების უარი მხარი დაუჭირონ საბჭოთა წინადადებებს არის იმის მიზეზი, რომ დღემდე მიღწეული არ არის შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ აკრძალვის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა მზად არის შეწყვიტოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა, როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი დათანხმდებიან იკისრონ ანალოგიური ვალდებულებანი.

გარწმუნებთ, რომ საბჭოთა მთავრობა შემდეგშიც მიიღებს მასზე დამოკიდებულ ყველა ღონისძიებას იმისათვის, რომ მიიღწიოს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის სახით — მისი გამოცდის შეწყვეტას.

პატივისცემით **ნ. ბულგანინი**
**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 7 მაისი“.

**რუსთავის ცემენტის ქარხანამ დაიწყო ახალი სახეობის პროდუქციის — სწრაფმყარებადი ცემენტის წარმოება, რომელსაც იყენებენ რკინაბეტონის სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად. რუსთავის ცემენტის ქარხანა ერთადერთია ამიერკავკასიაში, რომელიც უშვებს სწრაფმყარებად ცემენტს. სურათზე: რუსთავის ცემენტის ქარხნის მთავარი ინჟინერი პ. სავინსკი (მარცხნივ) და ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის გამგე ნ. ტურაბელიძე ამოწმებენ ახალი ცემენტის ხარისხს.**

ფოტო რ. მორჩილაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

## ჩაის კრეფა ძლიერდება

ლანჩხუთი. **(ტელეფონით, საკ. კორ.).** დღითიდღე ძლიერდება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ტემპი. მარტო ერთ დღეს—9 მაისს რაიონის კოლმეურნეობებმა 63.830 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. სოფელ მამათის კოლმეურნეობა ყოველდღიურად 5.400 კილოგრამ ნედლეულს კრეფს.

ჩაის კრეფა-დამზადება გაძლიერდა სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ დღეში კრეფენ 5.000 კილოგრამზე მეტ ხარისხოვან ფოთოლს. კრეფაში დაწინაურდნენ ეწრის, ზემო აკეთის, არჩეულის, ნიგვზიანის და სხვა კოლმეურნეობები.

ლანჩხუთელი მეჩაიე კოლმეურნეები ენერგიულად მუშაობენ, რომ ახალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

## ახალციხელ მეშახტეთა გამარჯვება

ახალციხე. **(„კომუნისტის“ კორ.).** ახალი წარმატებით აღნიშნა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეები ახალციხის შახტსამმართველოს კოლექტივმა. მან 119,9 პროცენტით შეასრულა ქვანახშირის ამოღების 4 თვის დავალება, გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს 10 ათასი ტონა ქვანახშირი.

დაწინაურდა მეორე შახტის კოლექტივი, რომელმაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გაზარდა 22,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება—23,6 პროცენტით.

# ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად ბიბლიოთეკა

## მხარს უჭერენ თელაველთა თაოსნობას

რუსთავი. **(საკ. კორ.).** დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის სასკოლო მუშაობის ახალი აღმავლობით აღნიშვნის მიზნით ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის სახალხო განათლების მუშაკები წელს შორშანდელთან შედარებით ორი თვით ადრე შეუდგნენ სკოლებისა და სბავშვო დაწესებულებების მომზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. განათლების საქალაქო განყოფილებამ შეადგინა სკოლების შენობათა მომდინარე და კაპიტალური რემონტის, სასწავლო ინვენტარის შეკეთების კალენდარული გეგმები. მე-3 და მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლებში უკვე დაიწყეს სასკოლო ინვენტარის შეკეთება. წელს გაზაფხულზე ქალაქის სკოლების ეზოებში მოსწავლეთა მონაწილეობით დამატებით დაირგო 4.300 ძირზე მეტი ხე და ბუჩქი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან მე-10, მე-2, მე-3 საშუალო სკოლები. მე-3 სკოლა მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან შეუდგა სპეციალურ საწარმოო სწავლებას. აღნიშნულ სკოლებს აქვთ კარგად მოწყობილი სახელოსნოები, ხელგარჯილობის კაბინეტები, საცდელი ნაკვეთები, ცოცხალი კუთხეები. მაღალ დონეზე ეწყობა პოლიტექნიკური საგნების სწავლება. მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დამოუკიდებლად ფლობს შრომითს ჩვევებს და უშუალოდ მონაწილეობს სასწავლო ინვენტარის შეკეთებაში. ამას წინათ მე-3, მე-5, მე-9 და სხვა სკოლებისათვის ქ. სტავროპოლიდან შემოიტანეს 48 სადურგლო დაზგა დამხმარე იარაღების სრული კომპლექტით.

სისტემატურად უმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები.

მეტალურგთა ქალაქის სკოლებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა თელაველთა მოწოდებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეული მაჩვენებლებით შეხვედრის მიზნით 1957-1958 სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მომზადების შესახებ. რუსთავის სახალხო განათლების მუშაკებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ბრძოლა ქალაქის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და მათი მუშაობის ახალი ამოცანების დონემდე აყვანისათვის.

თელაველთა პასუხად რუსთავის სკოლების, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები აქტიურად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და შემდეგი ვალდებულებები იკისრეს: საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების მიზნით უზრუნველყოფენ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმას სწავლებაში და წლის ბოლომდე კონტინგენტის უკლებლივ შენარჩუნებას; ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტი სურამში მოაწყობს პიონერთა ბანაკს, სადაც 840 ბავშვი დაისვენებს, მეტალურგიული ქარხანა თავისი ხარჯებით მახინჯაურში დასასვენებლად გაგზავნის 370-ზე მეტ მოსწავლეს; ამასთან ქალაქში დარჩენილი ბავშვებისათვის მოეწყობა პიონერთა საქალაქო ბანაკი; დამატებით გამწვანდება და კეთილმოწყობილი გახდება ყველა სკოლის ეზო იმ ვარაუდით, რომ თვითეულმა მოსწავლემ დარგოს 2 ძირი ხე.

ოქტომბერში მოეწყობა სასწავლო სახელოსნოებში გაწეული მუშაობის შედეგების დათვალიერება და მოხდება პოლიტექნიკური სწავლების დარგში მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

დასახელებულ სკოლებს საჭირო ხე-ტყის მასალით უზრუნველყოფს ხისდამმუშავებელი კომბინატი.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, აზოტოვანი სასუქების ქარხანა ქალაქის მე-3 და მე-12 საშუალო სკოლებისათვის ააგებენ შენობებს, სადაც მოეწყობა ლითონისა და ხის დამუშავების სპეციალური სახელოსნოები და მანქანათმცოდნეობის კაბინეტები; ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი საწარმოო-საფინანსო გეგმის გადამეტებით შესრულების ანგარიშში სკოლებს დაუმზადებს 50 მერხს, 15 მაგიდას, 15 დაფას, ხოლო 200 მერხს — განათლების განყოფილების თანხით, შეაკეთებს აგრეთვე 1.500 მერხს; ქალაქის სკოლების სასწავლო კაბინეტები შეივსება 133.200 მანეთის ხელსაწყოებითა და თვალსაჩინოებით, ხოლო პედაგოგიურ კაბინეტსა და სასკოლო ბიბლიოთეკებს შეემატება 17.500 მანეთის ლიტერატურა; მეტალურგმშენის ტრესტი სურამში მოაწყობს პიონერთა ბანაკს, სადაც 840 ბავშვი დაისვენებს, მეტალურგიული ქარხანა თავისი ხარჯებით მახინჯაურში დასასვენებლად გაგზავნის 370-ზე მეტ მოსწავლეს; ამასთან ქალაქში დარჩენილი ბავშვებისათვის მოეწყობა პიონერთა საქალაქო ბანაკი; დამატებით გამწვანდება და კეთილმოწყობილი გახდება ყველა სკოლის ეზო იმ ვარაუდით, რომ თვითეულმა მოსწავლემ დარგოს 2 ძირი ხე.

ოქტომბერში მოეწყობა სასწავლო სახელოსნოებში გაწეული მუშაობის შედეგების დათვალიერება და მოხდება პოლიტექნიკური სწავლების დარგში მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

## გათუმელთა ვალდებულებანი

გათუმი. **(საკ. კორ.).** ქალაქის სკოლებისა და სახალხო განათლების ყველა მუშაკი გულდასმით გაეცნო თელაველთა მოწოდებას, ჩაება ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სბავშვო დაწესებულებების მოსამზადებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადიდებული ვალდებულებები იკისრა. მათი ვალდებულება ითვალისწინებს წელს მე-8 რუსული საშუალო სკოლის შენობაზე მეორე სართულის დაშენებას. ეს სართული 240 მოსწავლეს დაიტევს. ქალაქის მე-3, მე-14, მე-16 სკოლების შენობები 200 კვადრატული მეტრით გაფართოვდება.

ბათუმელთა გადაწყვეტილებაა სანიმუშოდ ჩაატარონ სკოლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, რაზეც 1 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება, სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიები შეავსონ 60.000 მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით, შეაკეთონ არსებული ინვენტარი და დამატებით შეიძინონ 300 მერხი, 95 მაგიდა, 964 სკამი, 79 კარადა, 28 დაფა; წელს ახალი სასწავლო წლიდან გახსნან მუშა ახალგაზრდობის კიდევ ერთი საღამოს სკოლა, სწავლებაში ჩაებან განთესილი 13 ბავშვი და განუხრელად განახორციელონ საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი; გახსნან 15 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც მშობლების წარმოებაში ყოფნის დროს უმეთვალყურეოდ რჩებიან; შემდგომ განამტკიცონ სასკოლო სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ზაფხულის პერიოდში პოლიტექნიკური სწავლებისათვის გადაამზადონ 90 მასწავლებელი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ბავშვთა საზაფხულო დასვენებას. ზაფხულის პერიოდში სამი საბავშვო ბაღი 225 ალსაზრდელს გაიყვანს საზაფხულო აგარაკებზე წაღვერსა და სურამში, ხოლო ადგილზე — ქალაქში მოეწყობა გამაჯანსაღებელი მოედნები 400 ბავშვისათვის.

# თვალსაჩინო აგიტაცია საწარმოში

### მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებიდან

ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა სამთო-საშახტო მოწყობილობის მძლავრი საწარმოა. მისი პროდუქცია — არტეზიული ტუმბოები, ეექსკავატორები, საშახტო ვაგონეტები, ლითონკონსტრუქციები —იგზავნება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის რაიონებში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ალსანიშნავი შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის. მანქანათმშენებლებმა პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის დავალება 104,7 პროცენტით შეასრულეს, კიდევ უფრო მაღალნაყოფიერად იმუშავეს აპრილში, რის შედეგად თვის დავალება ვადაზე ოთხი დღით ადრე იქნა განაღდებული.

ამ წარმატებათა მოპოვებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ უკანასკნელ ხანებში საწარმოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, სათავეში უდგას რა მანქანათმშენებელთა შრომითსა და პოლიტიკურ აქტივობას, უნარიანად იყენებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ნაცად ფორმებსა და მეთოდებს, წარმართავს მათ განუხრელი საწარმოო ალმავლობის მისაღწევად. პარტიულო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლიტიკური აგიტაციის იდეურ შინაარსსა და დონეს, იმას, რომ აგიტაცია გავლენას ახდენდეს ცხოვრებაზე, სამეურნეო წარმატებებზე. ამას წინათ მუშაობა დაამთავრა აგიტატორთა სამთვიანმა ეკონომიურმა სკოლამ. მიიღეს რა სათანადო ცოდნა კონკრეტულ ეკონომიკაში, აგიტატორები ახლა უფრო მჭიდროდ უკავშირებენ თავიანთ საუბრებს ქარხნის, საამქროს, უბნის, განყოფილების წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებს.

პოლიტიკური აგიტაციის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს შორის, რომლებსაც აქ უნარიანად იყენებენ, დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს თვალსაჩინო აგიტაცია. მოწოდებები, პლაკატები, პანნოები, სტენდები, დიაგრამები, ფოტოვიტრინები, სოციალისტური შეჯიბრების დაფები — თვალსაჩინო აგიტაციის ყველა ეს საშუალება მიზანმიმსწრაფი და მუშებისათვის გასაგებია, პოლიტიკურად მახვილი, ნათელი და კონკრეტულია, ამასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოს ცხოვრებასთან. თვალსაჩინო აგიტაციის მთელი ეს არსენალი გააზრებულად, მიზანდასახულად არის გამოყენებული და იგი მოიცავს როგორც საამქროებსა და უბნებს, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, საერთო საცხოვრებლებს.

ქარხნის ეზოში, მთავარი კორპუსის წინ, იქ, სადაც ვ. ი. ლენინის დაბადების 87-ე წლისთავზე საზეიმოდ გაიხსნა გენიალური ბელადის ძეგლი, მოწყობილია ცენტრალური სტენდი, საგაზეთო ვიტრინები და ფოტოვიტრინები. აქ მყოფ ადამიანს საამქროებში შეუსვლელადაც შეუძლია გაიგოს თითქმის ყველაფერი ის, რითაც ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივი ცხოვრობს, გაიგოს საწარმოს როგორც საერთო, ისე ცალკეული საამქროების მუშაობის მაჩვენებლები. საწარმოო დავალებათა შესრულების მაჩვენებელთა დაფის გვერდით არის ადგილი, სადაც თვეში ერთხელ გამოაკრავენ ხოლმე პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის მიერ მომზადებული სოციალისტური შეჯიბრების ბიულეტენს. მასში ქვეყნდება საამქროთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ამ ბიულეტენიდან ვიგებთ, რომ გასული ოვენი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა სამეჭედლო საამქრო.

ამწყობ-მექანიკურ საამქროში არის სოციალისტური შეჯიბრების დიდი დაფა, რომელზეც ნაჩვენებია როგორც საერთოდ საამქროს, ისე ცალკეული ბრიგადებისა და შეჯიბრების მონაწილეთა ინდივიდუალური მაჩვენებლები. კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით საამქროში მოწყობილია კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების მოწინავეთა ფოტოვიტრინა. აქვე გამოკრულია სატირული კედლის გაზეთი „ნიანგის ჩანგალი“, რომელშიც მოკლედ, სატირულ ფორმებში გაკიცხული არიან შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამრღვევნი, წუნის მკეთებელნი.

„ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის!“ — ასეთი მოწოდება გეცვამთ თვალში ლითონკონსტრუქციების საამქროში შესვლისას. სხვა მოწოდებანი მიძღვნილია ხალხთა დიდი მეგობრობისადმი, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ამაღლებისადმი, ტექნიკური პროგრესისადმი...

...კომკავშირული მბურღავი შოთა დანელია შესვენებისას მივიდა სოციალისტური შეჯიბრების დაფასთან და კანონიერი სიამაყით გადახედა თავისი გვარის გასწვრივ ცარცით მიწერილ მაჩვენებელს. 385 პროცენტი!— ასეთია მისი შრომის შედეგი, მისი გუშინდელი საწარმოო მაჩვენებელი. მაგრამ მბურღავთა შორის მოწინავემ აქვე შეიტყო, რომ „მეტოქეები“ გასჩენია შემდეგელთა შორის. მაგალითად, შემდეგელ მ. ლომიძეს დავალება 401 პროცენტით შეესრულებია, ხოლო ი. ტაიკოვს სარეკორდო მაჩვენებლისათვის — 475 პროცენტისათვის მიეღწევია.

აგიტატორები ყველგან გამოდიან ტექნიკური პროგრესისათვის, საწარმოო რეზერვების სრულად გამოყენებისათვის მოწინავე მებრძოლთა რიგებში. სამჭედლო საამქროს კედლის გაზეთ „მჭედელში“ არის ამავე საამქროს თერმისტის, აგიტატორ გ. შვანგირაძის წერილი. იგი აყენებს ფრიად საყურადღებო საკითხს, რომელიც დეტალების წრთობისას უმაღლესი სიხშირის დენის აპარატის რაციონალურად გამოყენებას შეეხება. აქვე მოთავსებულია ნოვატორი მჭედლის, საამქროს პარტორგანიზაციის მდივნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. გელენიძის წერილი „გავაუმჯობესოთ საოგიტაციო მუშაობა“. საამქროს მოწინავე ადამიანები გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მჭედელმა დ. ანასაშვილმა იკისრა ყოველთვიური დავალება 200 პროცენტით გაეანაღდებინა, ფაქტიურად კი როგორც მარტის, ისე აპრილის დავალებები 300 პროცენტით შეასრულა. ასეთივე მაღალი მაჩვენებლები აქვთ თერმისტ-აგიტატორს გ. შვანგირაძეს, პარტორგანიზაციის მდივანს ს. გელენიძეს და სხვებს. საამქროს გასული თვის დავალება დიდი გადამეტებით შეასრულა და გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

თვალსაჩინო აგიტაცია ფართოდ არის დანერგილი აგრეთვე საიარაღო, საექსკავატორო, სამსხმელო საამქროებში. თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი ყველა საამქროსა და უბანზე უნარიანად არის გამოყენებული იმისათვის, რათა მთელმა კოლექტივმა გაიცნოს მოწინავეთა მიღწევები, რათა ჩამორჩენილები ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე, უკლებლივ ყველა მანქანათმშენებელმა წარმატებით შეასრულოს საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება.

ალსანიშნავია ისიც, რომ ყველა ძირითად საამქროში მოწყობილია წითელი კუთხე, გამოდის კედლის გაზეთი. მაგრამ თვალსაჩინო აგიტაციის დაყენებაში არის ნაკლიც. ქარხნაში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი დიაგრამები, რომელთა გამოყენებას შეძლებდნენ აგიტატორები. ზოგიერთი ლოზუნგი და პლაკატი მოძველებულია, გამოყენებული არ არის ამონაქრები ჟურნალ-გაზეთებიდან. საიარაღო საამქროში კედლის გაზეთი გასული წლის დეკემბრის შემდეგ არ გამოსულა და სხვ.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მოვალეა მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, თვალსაჩინო აგიტაციის ყველა საშუალება დაუქვემდებაროს ძირითად ამოცანას — მანქანათმშენებელთა დარაზმვას სახელმწიფო გეგმების და საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# საზეიმო საღამო გამარჯვების დღესასწაულის ალსანიშნავად

ჩვენმა ქვეყანამ ფართოდ აღნიშნა ბერძანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების 12 წლისთავი. ამ ისტორიულ მოვლენას მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც 9 მაისს მოსკოვში გამართა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტმა.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეები, თვალსაჩინო სამხედრო და საზოგადო მოღვაწეები, ყოფილი პარტიზანები, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები.

საღამოს დაესწრნენ აგრეთვე საფრანგეთის ყოფილი ფრონტელებისა და ომის მსხვერპლთა ასოციაციის კავშირის დელეგაციის წევრები ამ კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ეტიენ ნუვოს მეთაურობით, რომლებსაც ყველა შეკრებილი გულთბილად შეხვდა.

საზეიმო საღამო გახსნა ომის ვეტერანების საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. მ. ვასილევსკიმ.

ამხ. ვასილევსკი წინადადებას იძლევა ფეხზე ადგომით პატივი სცენ საბჭოთა და მოკავშირე ხალხების სოუკეთესო შვილების სახელოვან ხსოვნას, რომლებიც დაეცნენ გამარჯვების საერთო საქმისათვის ბრძოლებში. ყველანი ფეხზე დგებიან.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ გ. კ. ჟუკოვის - დავალებით საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. მ. ვასილევსკიმ სახელოვან თანამებრძოლებს — ომის საბჭოთა ვეტერანებს გადასცა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მხურვალე სალამი და უსურვა წარმატებები შრომაში.

საღამოს მონაწილეთა ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

შემდეგ საღამოზე დამსწრეთ თავიანთი მოგონებანი გაუზიარეს სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებმა.

შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ომის ფრანგი ვეტერანების დელეგაციის ხელმძღვანელის ეტიენ ნუვოს გამოსვლა.

* * *

9 მაისს მოსკოვში გაიმართა სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანთა ტრადიციული შეხვედრა. შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე ყოფილი პარტიზანები. რომლებიც მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-7 სესიის მუშაობაში. (საკდესი).

# ინდოეთი ხალხის ეროვნული აჯანყების მეასე წლისთავი

ასი წლის წინათ — 1857 წლის მაისში ინგლისის კოლონიად ქცეულ ინდოეთში იფეთქა დიდმა ეროვნულმა (სიპაების) აჯანყებამ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ინგლისელთა ბატონობას ამ ქვეყანაში. აღნიშნულ აჯანყებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ინდოელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მატიანეში.

დღეს კოლონიური მონობისაგან განთავისუფლებული, ეროვნული და სოციალური აღორძინების გზაზე დამდგარი მრავალმილიონიანი ინდოელი ხალხი ფართოდ აღნიშნავს პირველი დიდი ეროვნული აჯანყების მეასე წლისთავს.

1857-1858 წლების აჯანყების დამწყებ ძალას ინდოეთის მკვიდრთაგან დაკომპლექტებული დაქირავებული არმია — სიპაების არმია წარმოადგენდა (სპარსული სიტყვიდან „სიპაი“, რაც ჯარისკაცს ნიშნავს), ის არმია, რომლის მეშვიდობეთაც არსებითად დაიპყრეს ინგლისელებმა ინდოეთი.

სიპაები თუმცა ინგლისელ კოლონიზატორთა იარაღს წარმოადგენდნენ, მაგრამ მაინც გამოთიშული არ იყვნენ თავიანთი ხალხისაგან და ინდოელი ხალხის განუყოფელ ნაწილს, მის სისხლსა და ხორცს შეადგენდნენ. ის დუღილის პროცესი, საყოველთაო აღშფოთება და ანტიინგლისური განწყობილება, რომელმაც ფეხი მოიკიდა ინდოეთის საზოგადოების ყველა კლასსა და ფენაში XIX საუკუნის 50-იან წლებში, უშუალო გავლენას ახდენდა სიპაებზე და განაწყობდა მათ დამპყრობლებთან საბრძოლველად.

1857-1858 წლების ეროვნული აჯანყების დაწყების თარიღად 1857 წლის 11 მაისი ითვლება. თავდაპირველად აჯანყდა მირუტში (დელის ახლოს, მდინარე ჯამნუა ნაპირას) დაბანაკებული სიპაების რამდენიმე პოლკი. აჯანყებულებმა ამოიჟლტეს ინგლისელი ოფიცრები, დაანგრიეს საპატიმრო, რის შემდეგ დატოვეს ეს ქალაქი და გეზი დელისაკენ აიღეს.

მირუტის სიპაების მაგალითს მიბაძეს დელის სიპაებმაც, რომელთაც აგრეთვე მოკიდეს იარაღს ხელი და მირუტის აჯანყებულ სიპაებთან ერთად ხელთ იგდეს ეს ქალაქი. მირუტისა და დელის შემდეგ სიპაების აჯანყების ტალღამ მოიცვა მთელი ჩრდილო ინდოეთი. სიპაების ამბოხებებმა იფეთქა აგრაში, ალლაჰაბადში, ლაკნაუში, კანპურში, ბენარესში, პატნაში, ცენტრალურ ინდოეთში და სხვაგან. აჯანყების მთავარ კერებად იქცა განგის და ჯამნუს შუა წელის ირგვლივ მდებარე ოლქები.

აჯანყების ხელმძღვანელობა დასაწყისშივე უმთავრესად ფეოდალთა კლასის წარმომადგენლების ხელში მოექცა. აჯანყების სათავეში მყოფ ფეოდალთა დიდი ნაწილი მალე ინგლისელთა მხარეზე გადავიდა; მათი უმეცრესობა კი ბოლომდე დარჩა აჯანყების სათავეში.

მართალია, სიპაების აჯანყება დაიწყო როგორც სამხედრო ამბოხება, მაგრამ იგი სწრაფად გავრცელდა, ინდოეთის ვრცელ ტერიტორიას მოედო. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა, ხელოსნებმა და ქალაქის ღარიბმა მოსახლეობამ. ამან აჯანყებას მისცა მებრძოლი, ხალხური ხასიათი.

ყველაზე საყოველთაო, ჭეშმარიტად ხალხურ-დემოკრატიული ხასიათი აჯანყებამ მიიღო აუდის ტერიტორიაზე, სადაც ასეულ ათასობით გლეხი, ხელოსანი და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა ამხედრდა ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ. სწორედ აქ იქცა იგი სალეგიონ ომად. აჯანყებულმა მშრომელმა მასებმა აუდის ტერიტორიაზე თავიანთი მებრძოლი ბელადიც კი წამოაყენეს. ეს იყო ნიჭიერი ორგანიზატორი და მებრძოლი მაულეევ ახმადი.

სიპაების აჯანყებამ თავდაპირველად სასოწარკვეთილ მდგომარეობამდე მიიყვანა ინგლისის კოლონიური ადმინისტრაცია და სარდლობა. პანიკამ და დაბნეულობამ მოიცვა მათი რიგები. მაგრამ აჯანყებულებმა თავიანთი ნელი მოქმედებით და მიუტევებელი შეცდომებით საშუალება მისცეს კოლონიზატორებს გონს მოსულიყვნენ, თავდაცვა მოეწყოთ, შეტევისათვის საჭირო ზომები მიეღოთ და ენერგიულ მოქმედებაზე გადასულიყვნენ.

ინგლისელმა დამპყრობლებმა მთავარი დარტყმა დელის წინააღმდეგ მიმართეს. ხანგრძლივი და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ მათ მოახერხეს ამ ქალაქში შეჭრა და მისი აღება (1857 წ. სექტემბერში). ამ დროიდან მოკიდებული 1858 წლის ბოლომდე გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აჯანყებულებსა და ინგლისის უზარმაზარ არმიას შორის. ყველაზე მძაფრ და ხანგრძლივ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს ადგილი ჰქონდა აუდის ტერიტორიაზე და ცენტრალურ ინდოეთში. აუდში აჯანყების დროშა გლეხების, ხელოსნების და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ხელში გადავიდა.

ინგლისის სარდლობამ ბრძანება გამოსცა აღგილზევე დაეხვრიტათ და ჩამოეხრჩოთ აჯანყებულები და ტყვეები არ წაეყვანათ. სამხედრო-საველე „სისხლიანი სასამართლოები“ სრულიად გაუსამართლებლად სიკვდილით სჯიდნენ ინდოელებს ასაკისა და სქესის განურჩევლად: მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს.

1858 წლის დასასრულისათვის სიპაების აჯანყება ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა, თუმცა აჯანყებულთა დაქსაქსული რაზმები 1859 წლის დასაწყისში განაგრძობდნენ ბრძოლას.

ინდოელმა ხალხმა მძიმე მსხვერპლი გაიღო. გაბოროტებულმა ინგლისელმა კოლონიზატორებმა შეუბრალებლად იძიეს შური „ინდოელ მონებზე“, რომლებმაც ურჩობა გაბედეს და თავისუფლების მოსაპოვებლად იარაღს მოჰკიდეს ხელი. ათობით გადამწვარი და გაძარცული ქალაქი, ათასობით მიწასთან გასწორებული სოფელი, გაყვრანებული ოლქები, ასეულ ათასობით გაჟლეტილი, მილიონობით უსახლკაროდ და უსახსროდ დარჩენილი ადამიანები — ეს რით აღინიშნა სიპაების აჯანყების ჩახშობა.

სიპაების აჯანყებას ძირითადად სახალხო-განმათავისუფლებელი ხასიათი ჰქონდა. იგი იყო ეროვნული აჯანყება, რომელიც ინგლისის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

მართალია, ხალხის წრიდან გამოსული სიპაები იყვნენ აჯანყების დამწყებნი, მაგრამ აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას ინდოელი გლეხები, ხელოსნები და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა წარმოადგენდა. მაშინდელ ინდოეთში, სადაც კაპიტალისტური წარმოების მხოლოდ ჩანასახები იყო, არ არსებობდა ეროვნული ბურჟუაზია და ეროვნული პროლეტარიატი. ამიტომ 1857-1858 წლების სახალხო ეროვნულ აჯანყებას არ შეიძლებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხასიათი ჰქონოდა. აჯანყების მონაწილე მშრომელმა მასებმა, მეტად სუსტი ორგანიზებისა და პოლიტიკური მოუმზადებლობის გამო, აჯანყებას ვერ მისცეს საკუთარი პროგრამა, მიმართულება, ვერ წარმართეს იგი საკუთარი საშეხედრო-სტრატეგიული გეგმით. ამიტომ აჯანყების ხელმძღვანელობა ბოლომდე დარჩათ ინგლისელებით უკმაყოფილო ფეოდალებს. ისინი კი საკუთარი უფლებების აღდგენით უფრო იყვნენ დაინტერესებული, ვიდრე ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებით.

წინააღმდეგობა ფეოდალურ-რეაქციულ ხელმძღვანელობასა და აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას — მშრომელებს შორის აღნიშნული აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

მაგრამ ეს არ ყოფილა ამ აჯანყების დამარცხების ერთადერთი მიზეზი. ცალკეული სიპაები თავდადებით იბრძოდნენ, სიცოცხლეს არ ზოგავდნენ და თავიანთი სიმამაცით მტერსაც კი აოცებდნენ. მაგრამ მთლიანად სიპაებს აკლდათ ორგანიზებულობა, დისციპლინა და ერთიანი ინტერესების შეგნება. ისინი მოკლებული იყვნენ გამოცდილ სამხედრო ხელმძღვანელებს.

1857-1858 წლების ეროვნული აჯანყების მნიშვნელობა, მისი დამარცხების მიუხედავად, მაინც დიდია. იგი იყო პირველი საშიში და მრისხანე დარტყმა ინგლისის კოლონიური სისტემისადმი. მისი აჩრდილი დიდხანს მოსვენებას არ აძლევდა ინგლისელ კოლონიზატორებს. ამ აჯანყებით ინგლისელმა დამპყრობლებმა პირველად იგრძნეს ინდოელი ხალხის მრისხანების, აღშფოთებისა და წინააღმდეგობის დიდი ძალა; მან გამოაღვიძა ინდოელი ხალხის მგზნებარე სიყვარული სამშობლოს თავისუფლებისადმი.

ინდოელი ხალხის პირველმა დიდმა ეროვნულმა აჯანყებამ მარცხი განიცადა იმიტომ, რომ იგი მოკლებული იყო პროლეტარულ ხელმძღვანელობას, მას გზას არ უნათებდა მოწინავე რევოლუციური თეორია, იგი სტიქიური იყო თავისი ხასიათით. ინდოელ ხალხს თავის სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მაშინ არ ჰყავდა საამედო მოკავშირეები, მას არ შეეძლო ესარგებლა რომელიმე ქვეყნის განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილებით.

მაგრამ ასი წლის მანძილზე, რაც ინდოელი ხალხის ამ პირველ ეროვნულ აჯანყებას გვაშორებს, უდიდესი ცვლილებები მოხდა. შორს წავიდა ინდოელი ხალხის გამოღვიძებისა და პოლიტიკური მომწიფების პროცესი, რასაც დიდად შეუწყო ხელი დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. აღმოსავლეთის კოლონიური ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ორგანულად დაუკავშირდა მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლას კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, ეს ბრძოლა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის რეზერვად და განუყოფელ ნაწილად იქცა. დაიწყო იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის რღვევა. მარქსიზმ-ლენინიზმი აღმოსავლეთის დამონებული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის გზის მანათობელი შუქურა გახდა.

ახლა ვითარებამ ინდოელ ხალხს საშუალება მისცა წარმატებით დაეგვირგვინებინა ხანგრძლივი განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, მოეპოვებინა ეროვნული დამოუკიდებლობა. ეს იყო ძირეული მობრუნება ინდოელი ხალხის ისტორიულ განვითარებაში.

დღეს ინდოეთის რესპუბლიკა მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ ეროვნული აღორძინების გზაზე. იგი გაბედულად იბრძვის ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის და მსოფლიოში მშვიდობის დაცვის სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს.

საბჭოთა ხალხი მუდამ თანაგრძნობით ეკიდებოდა მაღალი კულტურის მქონე ინდოელ ხალხს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში, მუდამ მორალურ მხარდაჭერას უწევდა მას სამართლიან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელები სულით და გულით მიესალმნენ ინდოელი ხალხის განთავისუფლებას კოლონიური უღლისაგან და მის გამოსვლას ეროვნული და სოციალური აღორძინების ფართო გზაზე.

საბჭოთა კავშირმა ინდოეთის რესპუბლიკის არსებობის პირველი დღიდანვე კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა აზიის ამ დიდ სუverენულ სახელმწიფოსთან და დადო მასთან სავაჭრო-ეკონომიური, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებები. ინდოელი და საბჭოთა ხალხების უანგარო მეგობრობა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცა ჯავაჰარლალ ნერუს ვიზიტმა საბჭოთა კავშირში და ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მეგობრულმა ვიზიტმა ინდოეთში, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საიმედო გარანტიაა.

**ვ. დოლაძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ბიუჯეტის დადგენილება

**ფხენიანი, 8 მაისი.** (საკრესი). გუშინ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება სამხრეთ კორეის დამშეული გლეხებისათვის 100 ათასი სეკი (სეკი უდრის 150 კილოგრამს) ბრინჯის იუნაზღაურებლად მიწოდების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანს სამხრეთი კორეა განსაკუთრებით მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდის. შიმშილობს მილიონობით მოსახლე. როგორც ამას წინათ სამხრეთ კორეის გაზეთი „ტონგა ილბო“ იუწყებოდა, სურსათის მარაგი არა აქვს 980 ათასზე მეტ გლეხურ კომლს, რაც სამხრეთ კორეის გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 43,5 პროცენტს შეადგენს. შიმშილით სიკვდილს ჰირას მისული გლეხები იკვებებიან ფესვებით და ხის ქერქით, იზრდება შიმშილით დაზოცილთა და თვითმკვლელობით დალუპულთა რაოდენობა. მაგრამ სამხრეთ კორეის ხელისუფალთ არ შეუძლიათ მიიღონ ღონისძიება დამშეული გლეხების მოწოდების საპასუხოდ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობა განადგურებულია იმის შედეგად, რომ კორეის სამხრეთი ნაწილი ოკუპირებულია ამერიკელი იმპერიალისტების მიერ.

დადგენილებაში შემდეგ ნათქვამია, რომ, თუმცა ჩრდილოეთი კორეა ჯერ კიდევ განიცდის სურსათის ერთგვარ ნაკლებობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კორეის ჩრდილოეთი ნაწილის მცხოვრებთ არ შეუძლიათ გულხელდაკრეფით უცქირონ თავიანთ თანამემამულეთა საშინელ მდგომარეობას სამხრეთში.

# მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვება

## ინდონეზიის გაზეთი ინდონეზიაში კ. ე. ვოროშილოვის ვიზიტის შესახებ

**ჯაკარტა, 9 მაისი.** (საკრესი). გაზეთი „ჰარიან რაქიათი“ ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის ინდონეზიაში ვიზიტის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას. ეს ვიზიტი, წერს გაზეთი, გამოხატავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს — თვითეული სახელმწიფოს, დიდი თუ პატარა სახელმწიფოს, სუverენულ უფლებათა ურთიერთ პატივისცემას, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას და ტანაბრ შორის ურთიერთობაში სრულ თანასწორობას. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ემყარება იმ რეალურ ფაქტს, რომ სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნებმა მშვიდობიანად უნდა ითანაარსებონ და შეუძლიათ ეს გააკეთონ ამ პრინციპებზე დაყრდნობით. მათ უნდა მიიღონ ღონისძიებანი, განაგრძობს გაზეთი, არსებული საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, ურთიერთ ნდობის შექმნისათვის, გამონახონ თანამშრომლობის საერთო წერტილები. ვოროშილოვის ვიზიტი ადასტურებს სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების სამართლიანობას.

შემდეგ „ჰარიან რაქიათი“ წერს, რომ, თუმცა ინდონეზიასა და საბჭოთა კავშირს სხვადასხვა სოციალური სისტემები აქვთ, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა საერთო მისწრაფებას მშვიდობისადმი, მეგობრობისა და თავისუფლებისადმი.

# ეროვნული საბჭოს შექმნა ინდონეზიაში

**ჯაკარტა, 9 მაისი.** (საკრესი). დღეს პრეზიდენტ სუკარნოსა და პრემიერ-მინისტრ ჯუანდას ხელმოწერით გამოქვეყნდა საგანგებო კანონი ინდონეზიის ეროვნული საბჭოს შექმნის შესახებ.

კანონის თანახმად საბჭოს ამოცანაა აძლიოს მთავრობას რჩევა პრინციპულ საკითხებზე, რომლებიც შეეხება სახელმწიფო საქმეებს: პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიურ, ფინანსურ და სოციალურ საქმეებს. ეროვნულ საბჭოს სათავეში უდგას პრეზიდენტი. საბჭოს წევრებს ნიშნავს პრეზიდენტი. როგორც აღნიშნულია კანონში, საბჭოს წევრებად დაინიშნებიან უწინარეს ყოვლისა საზოგადოების იმ ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებსაც დღემდე არა აქვთ საკმაო საშუალებანი, რათა გამოხატონ თავიანთი მისწრაფება არსებული ინსტანციების მეშვეობით, სახელდობრ — გლეხების, მუშების, ინტელიგენციის, ეროვნული მეწარმეების, რელიგიური ჯგუფების, ქალების, ახალგაზრდობისა და სხვათა წარმომადგენლები, აგრეთვე რაიონების, სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა წარმომადგენლები, მინისტრები. ეროვნული საბჭო იწვევს სესიებს პრეზიდენტის, თავმჯდომარის მოადგილის ან საბჭოს სულ ცოტა 5 წევრის მოთხოვნით.

განმარტებითს ბარათში აღნიშნულია, რომ ეროვნული საბჭოს შექმნის მიზანია იმ ძალების ეფექტიანად გამოყენება, რომლებიც წარმოდგენილი არ არიან არსებულ ინსტიტუტებში, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის მისაღწევად, სახელმწიფოს უფრო სწორად მართვის ინტერესებისათვის.

# გაიხსნა უნგრეთის სახელმწიფო კრების სესია

**ბუდაპეშტი, 9 მაისი.** (საკრესი). დღეს გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია.

დეპუტატები და სტუმრები გულთბილად მიესალმნენ სხდომის დარბაზში უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის იანოშ კადარის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის იშტვან დობის, სახელმწიფო კრების თავმჯდომარის შანდორ რონაის, ფერენც მიუნიხის, დიერდ მაროშანის, ანტალ აპროს და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეთა გამოჩენას.

სესია გახსნა სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შანდორ რონაიმ.

მოკლე სიტყვის შემდეგ მან წინადადება შეიტანა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ამ წინადადებას დეპუტატები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ. სესიამ ერთსულოვნად მოიწონა ტექსტი მისალმებისა, რომელშიც ნათქვამია:

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრება მთელი უნგრელი მშრომელი ხალხის სახელით ძმურ სალამს უთვლის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს.

ჩვენ გამოვიკვლევთ მხურვალე მადლობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის მთავრობის, მთელი საბჭოთა ხალხისადმი იმ უანგარო ძმური დახმარებისათვის, რომელიც მათ გაგვიწიეს კონტრრევოლუციის ჩახშობაში, ჩვენი სოციალისტური მონაპოვრის შენარჩუნებაში, ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვაში.

სამარადისო დიდება და მადლობა საბჭოთა გმირებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე და სისხლი გასწირეს კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში!

ამ გადამწყვეტ თვეებში თქვენი ხალხების გმირული გამოსვლა, მათი პოლიტიკური და ეკონომიური მხარდაჭერა შეუერთდა ჩვენი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების ნებას და ახლა შესაძლებლობა მისცა უნგრეთის სახელმწიფო კრებას განიხილოს უნგრეთში სოციალისტური მშენებლობის საკითხები.

მთელი ჩვენი მშრომელი ხალხი სიხარულით მიესალმება და მთელი ძალუბით უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის მთავრობის ახალ ინიციატივას, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, განიარაღება, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა. მტკიცედ გვწამს, რომ ბრძოლა, რომელსაც ვეწევით სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან ერთად, დაიმსახურებს მსოფლიოს ყველა კეთილმოსურნე ხალხის აღიარებასა და მხარდაჭერას.

აღსავსე ვართ მისწრაფებით ვიყოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების ერთგულნი, მუდამ ვიღრმავებდეთ ძმურ მეგობრობას ჩვენს ხალხებს შორის, განვამტკიცებდეთ სოციალისტური ქვეყნების ერთობას და ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებამდე მივიყვანოთ სოციალიზმის საქმე.

ამ სულისკვეთებით გისურვებთ თქვენ, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, დიდ წარმატებებს მუშაობაში.

**უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრება**

ბუდაპეშტი, 1957 წ. 9 მაისი.

შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მისცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს იშტვან დობის, რომელმაც გააკეთა ანგარიში ორ სესიას შორის განვლილ პერიოდში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მოღვაწეობის შესახებ.

სესიამ მოიწონა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მოღვაწეობა და დაამტკიცა მისი გადაწყვეტილება იანოშ კადარის მეთაურობით რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის დანიშვნის შესახებ. ამავე დროს სახელმწიფო კრებამ დაამტკიცა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წინადადება მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

მრეწველობის მინისტრი ანტალ აპრო და ფინანსთა მინისტრი იშტვან კოშა განთავისუფლებული არიან თავიანთ მოვალეობათაგან. ანტალ აპრო დაინიშნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, იშტვან კოშა — ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრად. მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანენ: იშტვან ანტონი — ფინანსთა მინისტრი, ფერენც ნეზვალი — იუსტიციის მინისტრი, იანოშ ჩერეგე — მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მინისტრი, შანდორ ლოტერერი — მძიმე მრეწველობის მინისტრი, ო�ეფნე ნადი — მსუბუქი მრეწველობის მინისტრი, იენე ინ	ე — საგარეო ვაჭრობის მინისტრი, იანოშ ტოუსი — საშინაო ვაჭრობის მინისტრი, იმრე კოვაჩი — კვების მრეწველობის მინისტრი, რიქე ტრაუტმანი — სამშენებლო მრეწველობის მინისტრი, ეუგენ კოშნიცა — შრომის მინისტრი. სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს თავმჯდომარედ დაინიშნა არპად კოში.

შემდეგ თავმჯდომარემ რონაიმ სიტყვა საგარეო საქმეთა მინისტრ იშტვან დობისათვის მისცა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს იანოშ კადარს.

# დამთავრდა მაკმილანის მოღაპარაკება ადენაუერთან

**ბონი, 9 მაისი.** (საკრესი). დღეს გამოქვეყნდა კომუნიკე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან ადენაუერთან ინგლისის პრემიერ-მინისტრის მაკმილანის ორი დღის მოლაპარაკების შესახებ, რომელიც გუშინ დამთავრდა ბონში.

როგორც კომუნიკედან ჩანს, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებს განზრახული აქვთ კვლავაც განახორციელონ აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის სამხედრო ძლიერების გადიდების პოლიტიკა, ბლოკისა, რომლის საქმიანობაც ხელს უშლის არსებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. იმოწმებენ რა იმას, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს არ იყოს მზად დადოს შეთანხმება „ეფექტიან კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების“ შესახებ, მოლაპარაკების მონაწილენი მოითხოვენ „შემდგომ გაძლიერდეს არსებული თავდაცვითი“, ე. ი. ნატოს მონაწილე დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ორგანიზაციები.

ინიციატორებიან რა სიტყვებით, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას „ევროპის უშიშროება“, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურები გამოთქვამენ აზრს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის დირექტივების სულისკვეთებით, რომლებიც მან მისცა ნატოს საბჭოს ბონის სესიას, იმის შესახებ, რომ „ნატოს ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს დაშინების ეფექტიანი საშუალებანი“ და ამ მიზნით უნდა ჰქონდეს „საკმაოდ ძლიერი დაცვა სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების სახით“. ამასთან დაკავშირებულ საკითხთა განსახილველად ლონდონში მალე გაემგზავრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი.

კომუნიკედან ჩანს, რომ მოლაპარაკების მონაწილენი ვერ დასდგომიან ერთ აზრს „თავისუფალი ვაჭრობის ზონის“ შექმნის საკითხსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამაერთიანებელი არსებული და განზრახული ორგანიზაციების უნიფიკაციის საკითხში.

# ეროვნული ბიბლიოთეკა

**სოხუმში ცხოვრობს პენსიონერი ვლადიმერ სალამატოვი, რომელიც მრავალი წელიწადია მუშაობს ხის ჩუქურთმაზე. მისი უკანასკნელი ნამუშევრები ბზიანაგან გამოკვეთილი „ყვავილების ვაზა“, რომლის სიუჟეტი აღებულია ლერმონტოვის პოემა „დემონიდან“, მაგიდის ლამპა მოცეკვავე ქალიშვილის ფიგურით, აფაზური ხალხური საკრავები და სხვ. ს. სალამატოვის ნამუშევრები გამოირჩევა შესრულების სინაზეფით, ილამაზეთ და გემოვნებით. ოსტატი ხალისით უზიარებს ხის ჩუქურთმაზე მუშაობის გამოცდილებას ამ ხელოვნების მოყვარულთ. სურათზე: ვ. სალამატოვი მუშაობის დროს.**

ფოტო ნ. ჯომიდავასი.
(საქრესის ფოტოქრონიკა).

## სსრ კავშირის თასზე

მორიგი შეხვედრა ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე გაიმართა ქ. მოლოტოვში. თბილისის საოლქო სასპორტო კლუბის გუნდი თამაშობდა ალმა-ატის „ავანგარდის“ წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ალმა-ატის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

• • •

ქუთაისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივმა მორიგი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე გამართა ჩელიაბინსკში აღგილობრივი „ლოკომოტივის“ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ჩელიაბინსკელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

## თბილისი — როსტოვი

თბილისისა და როსტოვის მოჭიდრაკეთა კოლექტივების შეხვედრა ტრადიციულ ასპარეზობად გადაიქცა. მორიგი შეჯიბრება მოეწყობა როსტოვში. თვითეული გუნდი დაკომპლექტებულია 10 მოჭიდრაკით. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდებიან ორ-ორჯერ.

თბილისის გუნდის შემადგენლობაში შედიან საერთაშორისო ოსტატი გოგლიძე, ოსტატები გურგენიძე და ბუსლაევი, ოსტატობის კანდიდატები — ბლაგიძე, კაკიანი და მიისნიკოვი, პირველთანრიგოსნები — ლომაია, დუმური, მაჭავარიანი, არწუტეინი.

ამ დღეებში თბილისის გუნდი როსტოვში გაემგზავრა.

## ქალთა რესპუბლიკური საჭიდრაკო ჩემპიონატი

საქართველოს 1957 წლის ქალთა საჭიდრაკო პირველობის გათამაშების ყოველ ტურს სპორტის მრავალი მოყვარული ესწრება.

**მეოთხე ტურში** ოსტატმა ბურფინკელმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან დამამარცხა ტომილინა. ჩაიკოვსკაიამ მოუგო ნაჯაფებიას, ლოლაშვილმა — ფანქველაშვილს, ბელოზეროვამ — კაკაბაძეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

**4 ტურის შემდეგ** წინ არიან ოსტატი გურფინკელი და ჩაიკოვსკაია.

**რედაქტორი გ. ფირცხალავა.**


**1957 წლის 30 მაისს ქალაქ ქიევში შედგება სახელმწიფო 3% შინაგანი მოგებიანი სესხის მოგებათა 57-ე ტირაჟი**

ამ ტირაჟში გათამაშდება **46 მილიონ 502 ათასი მანეთის 85.000 მოგება, მათ შორის:**

50.000-მანეთიანი — 20 მოგება
25.000-მანეთიანი — 50 მოგება
10.000-მანეთიანი — 250 მოგება
5.000-მანეთიანი — 800 მოგება
1.000-მანეთიანი — 7.000 მოგება
400-მანეთიანი — 76.880 მოგება

**ყოველწლიურად ეწყობა სესხის მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.**

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

**შეიძინეთ სახელმწიფო 3% შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები.**

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში.

**საქართველოს სსრ სახშრომშემსახლაროების და სახკრედიტის სამმართველო**

**ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი** აცხადებს **კლინიკურ ორდინატურაში მისაღებ კონკურსს 1957-58 სასწავლო წლისათვის** შემდეგ სპეციალობებზე:

თერაპიაში — 2, პედიატრიაში — 1, თვალის სნეულებაში — 1, სამკურნალო ფიზკულტურაში — 1, პათოლოგიურ ანატომიაში — 1, რენტგენოლოგიასა და რადიოლოგიაში — 2, უროლოგიაში — 2, ანესთეზიოლოგიაში — 1, ინფექციურ სნეულებაში — 2, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებებში — 1, თორაკალურ ქირურგიაში — 1.

ორდინატურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს დირექტორის სახელზე შემდეგი სახეთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, სამხედრო და პარტიული დახასიათებანი, რაიფინანგების შუამდგომლობა, ცნობა სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, მეტრიკული ამონაწერი და ფოტოსურათი.

სახეთები მიიღება ა. წ. 25 ივნისამდე ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12, ტელეფონი 3-49-22).

**ტელეგადაცემათა პროგრამა**

**11 მაისისათვის.**

20.00 — ყველაზე პატარებისათვის — ნახატი ფილმი. 20.15 — გადაცემა „ჭადრაკის ისტორიიდან“ (სტუდიაში თ. გიორგაძე.) 20.30 — ახ